პროექტი

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

2019 წლის 20 ივნისს განვითარებული მოვლენების შეფასების, მასზე პასუხისმგებელი პირების დადგენისა და „გავრილოვის სიის" შედგენის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. 2019 წლის 20 ივნისს საქართველოს პარლამენტში სერგეი გავრილოვის თავმჯდომარეობით ჩატარებული მართლმადიდებელი ქვეყნების საპარლამენტაშორისო ასამბლეის სესია შეფასდეს, როგორც სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული აქტი.

2. დაევალოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, პარლამენტის საგარეო ურთიერთობების კომიტეტთან თანამშრომლობით, მოამზადოს იმ რუსი პოლიტიკოსების სია, რომელთა ვიზიტი საქართველოში არ იქნება მიზანშეწონილი, მიუხედავად იმისა, ფორმალურად აქვთ თუ არა მათ დარღვეული საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ.

3. დაევალოს პარლამენტის ადამიანის უფლებებისა და საგარეო ურთიერთობების კომიტეტებს, დაიწყონ მოსმენები 20 ივნისს განვითარებული მოვლენების შესასწავლად და დაადგინონ იმ პირთა წრე, ვისაც პასუხისმგებლობა ეკისრება, როგორც სერგეი გავრილოვის ქვეყანაში მოწვევაზე, ასევე 20 ივნისს საქართველოს მოქალაქეების წინააღმდეგ ძალის გამოყენებაზე ბრძანების გაცემაზე. შეადგინოს იმ პირთა სია, ვინც პასუხისმგებელია პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე, რომელმაც მომხდარში დაადანაშაულა საქართველოს პარლამენტის წევრი, ნიკანორ მელია და შესაბამისად ითანამშრომლა რუსულ მხარესთან მათი მოთხოვნის შესაბამისად, დასჯილიყო საქართველოს პარლამენტიდან გავრილოვის გაძევებაზე პასუხისმგებელი დეპუტატი. აღნიშნულ სიაში შეყვანილ უნდა იყვნენ პარლამენტის წევრები, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ნიკანორ მელიასთვის იმუნიტეტის მოხსნის გადაწყვეტილებას.

4. საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობების კომიტეტმა, საქართველოს საგარეო ურთიერთობების სამინისტროსთან თანამშრომლობით, დაადგინოს საერთაშორისო სანქციების ჩამონათვალი, რომლის მიღებაც მიზანშეწონილი იქნება ამ დადგენილების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირთა წრის მიმართ.

5. საგარეო ურთიერთობების და ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტებმა, დადგენილების მიღებიდან 2 თვის ვადაში, საქართველოს პარლამენტს განსახილველად წარუდგინონ დადგენილების მე-3 პუნქტით განსაზღვრულ პირთა სია და სანქციები, რომლის მოთხოვნითაც საქართველოს ხელისუფლება მიმართავს საერთაშორისო თანამეგობრობას.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე **არჩილ თალაკვაძე**